ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია

KA990128331265817

საქართველო, გორი 1400, სტალინის გამზ. №16; ს/კ 218083767; ტელ: 0 (370) 27 73 88

№ 04/2/473 **17 / ივლისი / 2017 წ.**

ფაქტ-მეტრის რეგიონალურ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნინო ჩიბჩიურს
ქ.გორი, გაბაშვილის ქ.78

ქალბატონო ნინო,
თქვენი განცხადების (მერიის რეგ. #512, 12.07.2017) პასუხად გაცნობებთ, რომ:

- 2014 წლის არჩევნებამდე მერობის კანდიდატის რანგში ზურაბ ჯირკველიშვილი ელექტროფიკაციის დასახლებაში მცხოვრებ მოქალაქეებს დაჰპირდა დასახლებაში გაზის მიყვანას, რაც დღეის მდგომარეობით შესრულებულია.
- ელექტროფიკაციის დასახლების გაზიფიცირების სამუშოებს ასრულებს კომპანია ,,სოკარი" ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის, შიდა ქართლის გუბერნატორისა და ენერგეტიკის სამინისტროს შუამდგომლობით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის თანხა არ გახარჯულა.
- 2016 წელს შეიქმნა ელექტროფიკაციის დასახლებაში სანიაღვრე არხისა და გზების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ღირებულებამ შეადგინა 4500 ლარი. ხოლო თვითონ განსახორციელებელი სამუშაოს ღირებულებაა 500 000 ლარი, რაც მომავალი წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული.
- გვერდწითელის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციისთვის შეიქმნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რისთვისაც დაიხარჯა 7347 ლარი, ხოლო განსახორციელებელი სამუშაოს ღირებულებაა 200 770 ლარი, რაც ასევე სამომავლოდაა გათვალისწინებული.
- ოპტიმიზაციის პროცესის დასრულების ვადის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.
- სავარაუდოდ, რეორგანიზაცია შეეხება სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს.

ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბი ჯირკველიშვილი